მშრომელეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 13 მარტი, 1943 წ. № 60 (6685). ფასი 20 კაპ.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ვიაზმა

12 მარტს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ვ. დ. სოკოლოვსკის მეთაურობით, გადამწყვეტი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვიაზმა.

ქალაქ ვიაზმისათვის წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 8 თვითმფრინავი, 83 ტანკი, 69 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 222 ტყვიამფრქვევი, 565 ავტომანქანა და ტრაქტორი, 57 ორთქლმავალი, 515 ვაგონი, დიდძალი ყუმბარები, ვაზნები და სხვა სამხედრო ქონება, რომლის დათვლაც სწარმოებს.

მოწინააღმდეგემ 9.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მარტო მოკლულთა სახით.

ქალაქ ვიაზმისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ნ. გორდოვის და გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ს. პოლენოვის ჯარებმა. ქალაქში პირველნი შეიჭრნენ პოლკოვნიკ ამხ. პეტერსისა და პოლკოვნიკ ამხ. იაბლოკოვის ნაწილები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 მარტის დილის ცნობა

11 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

გუატკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერი შეუთავარ წინააღმდეგობას გაწევდა და ცალკეულ უბნებზე კონტრიერიშებზე გადმოდიოდა. ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს ჰიტლერელთა წინააღმდეგობა და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს გამაგრებული დასახლებული პუნქტი და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი და 26 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს დიდი აღალი საომარ მასალიანად და სხვადასხვა სამხედრო მასალიანად.

* * *

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის გააფთრებულ იერიშებს. ერთ უბანზე არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 9 ტანკი და მოსპეს მტრის 17 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად. ხარკოვის დასავლეთით მტრის დიდძალ ტანკებსა და ქვეით ჯარს ზედიზედ მოჰქონდათ იერიში ჩვენს პოზიციებზე. ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალის ფასად გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი ქვეგანაყოფების შეიწროება.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 15 ქვეითი, 2 ტანკი და გაწყვეტილია მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლგოვის დასავლეთით საბჭოთა მოძრაგმა რაზმებმა მტრის ზურგში შეაღწიეს და ნოულოდნელი დარტყმით ხელთ იგდეს მტრის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ჰიტლერელთა ორი ასეულისაგან შემდგარი გარნიზონი მთლიანად მოსპობილია. ხელთ ვიგდეთ საარტილერიო ბატარია, 6 ნაღმსატყორცნი, 24 ტყვიამფრქვევი, საწყობი სურსათიანად და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მარტის დამდეგს მთელი რიგი წარმატებითი თავდასხმა მოახდინა რკინიგზის სადგურებზე. პარტიზანებმა დანგრიეს სადგურის მოწყობილობა და გაანადგურეს ჰიტლერელთა სასურსათო ბაზები. ხელთ იგდეს და მოსახლეობას დაურიგეს ბევრი მარცვლეული, კარტოფილი და სხვა პროდუქტები. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა რამდენიმე ადგილას დანაღმა რკინიგზის ხაზი. ნაღმებზე აფეთქდა ორთქლმავალი და 8 პლატფორმა ავტომანქანებიანად.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს კურსკის ოლქის მიხაილოვსკის რაიონში. გერმანელებმა მთლად გადაწყვეს და მიწასთან გაასწორეს დაბა ხოლსტინკა, ხოლო ყველა მცხოვრები — მოხუცები, ქალები და ბავშვები — ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს. დაჭრილებს ჰიტლერელთა ციცხლმოდებულ სახლებში ჰყრიდნენ. სულ დაბაში ფაშისტ ჯალათთა ხელით დაიღუპა 250 კაცი. დაბა სრულიად მოსპობილია, და იქ არცერთი სახლი აღარ დარჩა.

12 მარტის საღამოს ცნობა

12 მარტს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვიაზმა.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

11 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 150-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანშეს საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარიის ცეცხლი, ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი და დაამტვრიეს მტრის სარკინიგზო ეშელონი.

* * *

ჩვენნა ჯარებმა, ანვითარებდნენ რა შეტევას, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვიაზმა. ქალაქისათვის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მტერს წაართვეს 8 თვითმფრინავი, 83 ტანკი, 69 ქვემეხი, 222 ტყვიამფრქვევი, 565 ავტომანქანა და ტრაქტორი, 57 ორთქლმავალი, 515 ვაგონი, დიდძალი ყუმბარები, ვაზნები და სხვა სამხედრო ქონება. მტერმა მარტო მოკლულთა სახით 9.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

* * *

სიჩოვკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ უბანზე ქვეგანაყოფებმა ამხ. გაზაშვილისა და კუპრიანოვის მეთაურობით გასტეხეს მტრის თავდაცვა და ფლანგებიდან დარტყმებით აიძულეს გერმანელები სასწრაფოდ უკან დაეხიათ. ჰიტლერელებმა მიატოვეს ბევრი სამხედრო ტექნიკა, მათ შორის სხვადასხვა ყალიბის 12 ქვემეხი. ტემკინოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სძლიეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ზნამენკა.

* * *

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ ნაწილის მებრძოლები მტერს სდევნიდნენ და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი, რომელშიც ხელთ იგდეს გერმანელთა 18 ტანკი, 3 ტანკეტი და სხვა დავლა.

* * *

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დიდძალ ტანკებთან და ქვეითს ჯართან. ნ შენაერთის ნაწილებმა ზედიზედ მოიგერიეს ჰიტლერელთა რვა იერიში და მოსპეს 23 ტანკი და 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხარკოვის დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა რიცხობრივად ჭარბ ძალებთან სიმხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ დასტოვეს ერთი დასახლებული პუნქტი და თავდაცვითს ახალ ზღუდეზე გადმონაცვლეს.

სამაერო ბრძოლებში ჩვენმა ავიაციამ დღის განმავლობაში ჩამოაგდო გერმანელთა 26 თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის რაიონში მტრის ერთმა პოლკმა ქვეითმა ჯარმა 40 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში და მოსპეს 11 ტანკი, 4 ტრანსპორტერი და 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე იმ ქვეგანაყოფის პოზიციებზე, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი მირონოვი, შეტევას ეწეოდა გერმანელთა 20 მძიმე ტანკი. საბჭოთა მებრძოლებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 7 ტანკი და გასწყვიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ჩვენი მოიერიშეები თავს დაესხნენ მტრის

გერმანელ ფაშისტ კაციჭამიების მხეცობა დონის როსტოვში

ქვემოთ ქვეყნდება აქტი და ფოტოდოკუმენტები დონის როსტოვში გერმანელ ფაშისტ არამზადების მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ:

აქტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერლებმა, შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე: როსტოვის დაკავების შემდეგ ქალაქის გერმანელმა კომენდანტმა გენერალ-მაიორმა კიტელმა მოაწყო ქალაქის მშვიდობიანი მცხოვრებლების მასობრივი ჟლეტა. მრავალი ასეული მოქალაქე ვალდებული იყო ბავშვებიანად გამოცხადებულიყო შესაკრებ პუნქტებში და თან მიეტანა ძვირფასი ნივთები და სურსათის სამი დღის მარაგი. შესაკრებ პუნქტებში მისულთ სატვირთო მანქანებში სხამდნენ და ქალაქ გარეთ გაჰყავდათ. ბოტანიკური ბაღისა და ზოოპარკის რაიონში მოზრდილებს ხვრეტდნენ, ბავშვებს კი სწამლავდნენ, უსვამდნენ რა ტუჩებზე ძლიერად მოქმედ შხამიან ნივთიერებებს. არასრული ცნობებით, გერმანელმა ჯალათებმა დახვრიტეს და მოსწამლეს 15-18 ათასი კაცი. დახვრეტილთა შორის არიან: მე-2 საბჭოთა საავადმყოფოს თვალის განყოფილების გამგე დოცენტი კირშმანი, თერაპევტი ექიმი ინალი, იურისტი ლუკკი, ვოროშილოვის სახელობის ქარხნის დირექტორის მოადგილე ბუნიაკოვი და მისი ცოლი, დოცენტი ნოვიკოვი, მისი დედა 70 წლისა, ცოლი და რვა წლის ვაჟი, ექიმი შერშევსკაია, სამედიცინო და სიმინოვიჩი, ხარატი პავლოვსკაია და სხვები.

ქალაქის ოკუპაციის დროს, განსაკუთრებით მისი დატოვების წინ, გერმანელმა ბარბაროსებმა გაძარცვეს, ააფეთქეს და დასწვეს როსტოვის ბევრი სამრეწველო საწარმო. დანგრეულია სტალინის სახელობის ქარხანა „როსტსელმაში“, ქარხანა „კრასნი აქსაი“, ლენინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხანა, ძეხვეულობის ფაბრიკა „კრასნაია ზვეზდა“, საკონსერვო ქარხანა „სმიჩკა“, ვოროვსკის სახელობის თუჯსამსხმელო ქარხანა, № 2 ფქვილ-მაკარონის კომბინატი, ვოროშილოვის სახელობის მექანიკური ქარხანა, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი მექანიზებული პურსაცხობი ქარხანა, როსტოვის ელექტროთბოცენტრალი, ავტობუსების პარკი, ტრამვაის პარკი, ტრამვაისა და ტროლეიბუსის ქსელი მთელ ქალაქში, ფოსტამტი და ტელეგრაფი, სტამბები, წყალსადენი, კანალიზაცია, კინომექანიკური სახელოსნოები, სხვადასხვა საკვები პროდუქტების ფაბრიკები, კომბინატები და სხვა უდიდესი საწარმონი და ნაგებობანი.

გერმანელმა ბარბაროსებმა დასწვეს საოლქო სახელმწიფო ბიბლიოთეკის ორ მილიონზე მეტი წიგნი და გაანადგურეს 25 ბიბლიოთეკა. უძვირფასესი წიგნები, რომლებიც იშვიათობას და უდიდეს სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენდნენ, მოსპეს ან გერმანიაში წაიღეს. ოკუპანტებმა დაანგრიეს ქალაქის ცენტრალური საავადმყოფოს ძირითადი კორპუსები, 1-ლი, მე-3 და მე-4 პოლიკლინიკები, რკინიგზელთა პოლიკლინიკა და სხვები. ზოგიერთი საავადმყოფო მოსპეს შიგ მყოფ ავადმყოფებიანად. ფაშისტმა მაროდიორებმა საავადმყოფოებიდან გერმანიაში წაიღეს უძვირფასესი სამედიცინო აპარატურა და ინსტრუმენტები.

ბარბაროსებმა დაანგრიეს და დასწვეს ქალაქის საუკეთესო საზოგადოებრივი შენობები: საბჭოების სახლი, სასტუმროები „ინტურისტი“ და „ინტერნაციონალი“, გორკის სახელობის დრამატიული თეატრი, ესტრადის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მუსიკალური კომედიის თეატრი, კინოთეატრები „გიგანტი“ და „ქრონიკა“, განათლების სახლი, სტალინის სახელობის ქარხანა „როსტსელმაშის“ კულტურის სასახლე, ელექტრიკოსების, მედსანშრომისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების კლუბები, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები და კლინიკები, პედაგოგიური ინსტიტუტი, მოლოტოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის შენობა, კავშირგაბმულობის ტექნიკუმი, სამშენებლო ტექნიკუმი, მუსიკალური სასწავლებელი, 50-ზე მეტი საშუალო სკოლა, რევოლუციის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, აკადემიური ბიბლიოთეკა და სხვები.

აფეთქებული და დამწვარია ყველა საცხოვრებელი სახლი ენგელსის ქუჩაზე, ვაგზლიდან ვოროშილოვის პროსპექტამდე, მეტი წილი შენობები პუშკინის, შაუმიანისა და სოციალისტურ ქუჩებზე, ვაგზლიდან მოკიდებული ბუდიონის პროსპექტამდე, აგრეთვე სადგომთა და საცხოვრებელ შენობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ბუდიონის, თეატრალურ და ვოროშილოვის პროსპექტებზე, „როსტსელმაშის“ დაბაში, ოლიმპიადოვკაში და სხვა ადგილებში. გორკის სახელობის პარკი როსტოველთა სიამაყე იყო. გერმანელმა ბარბაროსებმა პარკში მოსპრეს ყველაზე უფრო ძვირფასი ხეები, დაანგრიეს შადრევნები და პავილიონები.

საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობათა ნგრევა შემდეგნაირად ხდებოდა: მესანგრე-ცეცხლწამკიდებელთა და ამფეთქებელთა სპეციალური რაზმები აწყობდნენ ნაღმებს, აფეთქებდნენ შენობებს, ნაშთებზე ბენზინს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ბანდიტები საჭიროდაც კი არ სთვლიდნენ გაეფრთხილებინათ ამის შესახებ მცხოვრებნი. დანგრეულ შენობათა ნამსხვრევებში ასობით ადამიანი დაიღუპა.

დახვრეტის მუქარით ჰიტლერელებმა გერმანიის კატორღაში გაგზავნეს როსტოვის ბევრი მცხოვრები. ქალაქის კომენდანტის ბრძანებით ყველა მამაკაცი 14-დან 60 წლამდე და ყველა ქალი 15-დან 50 წლამდე რეგისტრირებულ იქნა. მათ ჩამოართვეს პასპორტები. შემდეგ რეგისტრირებულთ შესაკრებ პუნქტებში აგროვებდნენ. დახვრეტის მუქარით მათ ვაგონებში სხამდნენ და, როგორც პირუტყვს, დასავლეთისაკენ გზავნიდნენ. ამნაირად გერმანიაში გაგზავნილ იქნა მრავალი ათასი საბჭოთა ადამიანი. როსტოვის დარჩენილი მცხოვრებნი განწირული იყვნენ შიმშილითა და ავადმყოფობით ამოწყვეტისათვის.

წითელი არმიის დარტყმებით უკანდახევისას, გერმანელმა ოკუპანტებმა ქალაქის სანატორიუმში სიკვდილით დასაჯეს როსტოვის 135 დაავადებული მცხოვრები. ამის წინ ჯალათებმა საშინლად აწამეს თავიანთი მსხვერპლნი—სჭრიდნენ ცხვირს, სთხრიდნენ თვალებს, სჭრიდნენ ფეხებსა და ხელებს. ამის შემდეგ ჰიტლერელებმა ააფეთქეს სანატორიუმის შენობა შიგ მყოფ დაავადებულ საბჭოთა მოქალაქეებიანად. სანატორიუმის ეზოში აღმოჩენილია 1.154 გვამი, მათს რიცხვში ქალების 122 და ბავშვების 57 გვამი. სანატორიუმში დახვრეტილთა და ნაწამებთა შორის გამოცნობილია ინჟინერ გიორგი ჟდანოვის, მუშა ანა მიხაილოვას და სხვების გვამები.

მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების სისხლით შეღებილ როსტოვის ქუჩებსა და მოედნებს გერმანელ ფაშისტ არამზადების საშინელ ბოროტმოქმედებათა კვალი ანნევია.

საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი კულტურისადმი, ყოველივე რუსულისადმი ზეცური გაბოროტებით შეპყრობილი ჰიტლერელები ანგრევდნენ ყველაფერს, რაც შექმნილია რუსი ხალხის მიერ ქალაქის არსებობის მრავალი წლის განმავლობაში, და ყველაფერს, რაც შექმნილია საბჭოთა ადამიანების მიერ 25 წლის განმავლობაში. ეს ნგრევა სრულებითაც არ იყო გამოწვეული სამხედრო მოსაზრებებით.

ჩვენი და-ძმების სისხლი შურისძიებას ითხოვს. ქალაქ დონის როსტოვის ყველა მოქალაქეთა სახელით ჩვენ სასტიკ შურისგებას მოვითხოვთ ბანდიტების მიმართ მთელი მათი საძაგელი და საზიზღარი ბოროტმოქმედებისათვის.

აქტს ხელს აწერენ: მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **ს. ბურმენსკი**, ლუდის ქარხანა „ზარიას“ ინჟინერი **ი. ზვენზეკი**, პროფესორი **ნ. სტასევიჩი**, პროფესორი **ვ. კარნიცკი**, მაიორი **ი. დონსკოი**, მაიორი **პ. სედოვი**, კაპიტანი **ა. ტოკარი**, არტელ „შეტიზის“ მუშა **ა. დიბროვი**, დაბა „ნოვი გოროდოკის“ რწმუნებული **ა. ი. მაკეევა**, ლენინის სახელობის ქარხნის ოსტატი **ვ. ბოჩაროვი**, მიქოიანის სახელობის ფაბრიკის ტექნიკოსი **ს. ტოკარევი**.

დონის როსტოვში გერმანელების მიერ ჩადენილი სისხლიანი ბოროტმოქმედებანი მხოლოდ მცირე ნაწილია დროებით დაპყრობილ რაიონებში საბჭოთა ხალხის გაჟლეტის, ყველა მატერიალური და კულტურული ღირებულების დანგრევის საშინელი პროგრამისა, რასაც ჰიტლერელები ახორციელებენ. გერმანელები ანგრევენ მათ მიერ დაპყრობილ ყველა საბჭოთა ქალაქსა და სოფელს, იტაცებენ და სპობენ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ჰიტლერელები აწამებენ, ხვრეტენ და ახრჩობენ მშვიდობიან მცხოვრებთ, არ ერიდებიან არც უმწეო ქალთა და ბავშვთა დახოცვას. ისინი ძალად მიერეკებიან საბჭოთა მოქალაქეებს გერმანიის კატორღაში, ჭყლიან მათ საკონცენტრაციო ბანაკებში და განუმზადებენ გარდუვალ სიკვდილს შიმშილითა, ცემა-ტყეპითა და ქანცის გამწყვეტი შრომით.

ზემოთგამოქვეყნებული აქტი მკაფიო წარმოდგენას იძლევა იმ „ახალ წესრიგზე“, რომელსაც გერმანელი ფაშისტი არამზადები მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებსა და ოლქებში ამყარებენ. იქ, სადაც ჰიტლერელმა ჯარისკაცმა ფეხი შესდგა, კვდება ყოველგვარი კულტურული ცხოვრება, დგება გაველურება და გაპარტახება.

გერმანელი არამზადები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ, რომლებიც სისხლით რწყვევენ საბჭოთა მიწა-წყალს, პასუხს აგებენ ყველაფრისათვის—უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვისათვის, ბავშვთა და ქალთა დახოცვისათვის, ყოველი ძალადობისათვის, ძარცვისა და ნგრევისათვის. ახლოა შურისგების ჟამი!

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

(ფოტოდოკუმენტები გამოქვეყნებულია ცენტრალურ პრესაში).

საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომების ლექტორთა საოლქთაშორისო თათბირი

11 მარტს ქ. მოსკოვში დამთავრდა საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომების ლექტორთა საოლქთაშორისო თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს მიერ.

მოხსენება „სამამულო ომის მიმდინარე მომენტის შესახებ“ გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. ფ. ალექსანდროვმა.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი ამხ. ე. იაროსლავსკისა და ი. ს. ხავინსონის მოხსენებები.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს სალექციო მუშაობის გამოცდილება.

(„აკრ.“ ცხ.).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 მარტის დილის ცნობა

11 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

გუატკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერი შეუთავარ წინააღმდეგობას გაწევდა და ცალკეულ უბნებზე კონტრიერიშებზე გადმოდიოდა. ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს ჰიტლერელთა წინააღმდეგობა და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს გამაგრებული დასახლებული პუნქტი და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი და 26 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს დიდი აღალი საომარ მასალიანად და სხვადასხვა სამხედრო მასალიანად.

* * *

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის გააფთრებულ იერიშებს. ერთ უბანზე არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 9 ტანკი და მოსპეს მტრის 17 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად. ხარკოვის დასავლეთით მტრის დიდძალ ტანკებსა და ქვეით ჯარს ზედიზედ მოჰქონდათ იერიში ჩვენს პოზიციებზე. ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალის ფასად გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი ქვეგანაყოფების შეიწროება.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 15 ქვეითი, 2 ტანკი და გაწყვეტილია მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლგოვის დასავლეთით საბჭოთა მოძრაგმა რაზმებმა მტრის ზურგში შეაღწიეს და ნოულოდნელი დარტყმით ხელთ იგდეს მტრის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ჰიტლერელთა ორი ასეულისაგან შემდგარი გარნიზონი მთლიანად მოსპობილია. ხელთ ვიგდეთ საარტილერიო ბატარია, 6 ნაღმსატყორცნი, 24 ტყვიამფრქვევი, საწყობი სურსათიანად და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მარტის დამდეგს მთელი რიგი წარმატებითი თავდასხმა მოახდინა რკინიგზის სადგურებზე. პარტიზანებმა დანგრიეს სადგურის მოწყობილობა და გაანადგურეს ჰიტლერელთა სასურსათო ბაზები. ხელთ იგდეს და მოსახლეობას დაურიგეს ბევრი მარცვლეული, კარტოფილი და სხვა პროდუქტები. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა რამდენიმე ადგილას დანაღმა რკინიგზის ხაზი. ნაღმებზე აფეთქდა ორთქლმავალი და 8 პლატფორმა ავტომანქანებიანად.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს კურსკის ოლქის მიხაილოვსკის რაიონში. გერმანელებმა მთლად გადაწყვეს და მიწასთან გაასწორეს დაბა ხოლსტინკა, ხოლო ყველა მცხოვრები — მოხუცები, ქალები და ბავშვები — ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს. დაჭრილებს ჰიტლერელთა ციცხლმოდებულ სახლებში ჰყრიდნენ. სულ დაბაში ფაშისტ ჯალათთა ხელით დაიღუპა 250 კაცი. დაბა სრულიად მოსპობილია, და იქ არცერთი სახლი აღარ დარჩა.

12 მარტის საღამოს ცნობა

12 მარტს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვიაზმა.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

11 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 150-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანშეს საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარიის ცეცხლი, ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი და დაამტვრიეს მტრის სარკინიგზო ეშელონი.

* * *

ჩვენნა ჯარებმა, ანვითარებდნენ რა შეტევას, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვიაზმა. ქალაქისათვის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მტერს წაართვეს 8 თვითმფრინავი, 83 ტანკი, 69 ქვემეხი, 222 ტყვიამფრქვევი, 565 ავტომანქანა და ტრაქტორი, 57 ორთქლმავალი, 515 ვაგონი, დიდძალი ყუმბარები, ვაზნები და სხვა სამხედრო ქონება. მტერმა მარტო მოკლულთა სახით 9.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

* * *

სიჩოვკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ უბანზე ქვეგანაყოფებმა ამხ. გაზაშვილისა და კუპრიანოვის მეთაურობით გასტეხეს მტრის თავდაცვა და ფლანგებიდან დარტყმებით აიძულეს გერმანელები სასწრაფოდ უკან დაეხიათ. ჰიტლერელებმა მიატოვეს ბევრი სამხედრო ტექნიკა, მათ შორის სხვადასხვა ყალიბის 12 ქვემეხი. ტემკინოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სძლიეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ზნამენკა.

* * *

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ ნაწილის მებრძოლები მტერს სდევნიდნენ და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი, რომელშიც ხელთ იგდეს გერმანელთა 18 ტანკი, 3 ტანკეტი და სხვა დავლა.

* * *

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დიდძალ ტანკებთან და ქვეითს ჯართან. ნ შენაერთის ნაწილებმა ზედიზედ მოიგერიეს ჰიტლერელთა რვა იერიში და მოსპეს 23 ტანკი და 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხარკოვის დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა რიცხობრივად ჭარბ ძალებთან სიმხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ დასტოვეს ერთი დასახლებული პუნქტი და თავდაცვითს ახალ ზღუდეზე გადმონაცვლეს.

სამაერო ბრძოლებში ჩვენმა ავიაციამ დღის განმავლობაში ჩამოაგდო გერმანელთა 26 თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის რაიონში მტრის ერთმა პოლკმა ქვეითმა ჯარმა 40 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში და მოსპეს 11 ტანკი, 4 ტრანსპორტერი და 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე იმ ქვეგანაყოფის პოზიციებზე, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი მირონოვი, შეტევას ეწეოდა გერმანელთა 20 მძიმე ტანკი. საბჭოთა მებრძოლებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 7 ტანკი და გასწყვიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ჩვენი მოიერიშეები თავს დაესხნენ მტრის

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის განცხადება საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის წლისთავთან დაკავშირებით

ვაშინგტონი, 11 მარტი (საკადესი). რუზველტის თხოვნით ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა შემდეგი განცხადება წაიკითხა სუზმის დროს, რომელიც დღეს გამართა საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განხორციელების რწმუნებულმა სტეტინიუსმა ამ კანონის არსებობის მეორე წლისთავთან დაკავშირებით:

„ორი წლის წინათ, 1941 წლის თებერვლის მარტს, მიღებულ იქნა საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონი. ჰიტლერი დაჰპირდა თავის ხალხს, რომ ახლანდელი ომი იქნებოდა ხანმოკლე ომი, ერთ ფრონტზე წარმოებული ომი, რომ ჩვენი დახმარება მეტად მცირე და მეტად ნაგვიანევი იქნებოდა. ამავე დაპირებას იძლეოდნენ იაპონელთა სამხედრო ხროვის წარმომადგენლები. დრომ დაგვანახვა, რომ ეს ცრუ დაპირება იყო. ჩვენმა დაპირებამ დროის გამოცდას გაუძლო.

ამჟამად, როდესაც ჩვენ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის მეორე წლისთავს ეწვიშნავთ, გაერთიანებული ერები შეტევას ეწევიან. ორი წლის წინათ იდგა საკითხი, თუ სად მოახდენდნენ ღერძის სახელმწიფოები თავიანთ შემდგომს დარტყმას. ამჟამად დგას საკითხი, თუ სად მოახდენენ გაერთიანებული ერები თავიანთ შემდგომს დარტყმას. მოწინააღმდეგეს პასუხს გავცემთ ჩვენ მიერ არჩეულ ბრძოლის ველებზე. იმისდაკვალად, თუ როგორ დავარტყამთ ზედიზედ, დახმარება საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე და ურთიერთდახმარება სულ უფრო და უფრო მეტად შეუწყობს ხელს ღერძის სახელ

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება უნვი სამხედრო მოსავლისათვის

ლაგოდეხელთა მოწოდებას საქმით უპასუხებენ

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გორის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ ეცნობიან, ერთსულოვნად იწონებენ ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდებას აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შეკრება, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ. ამავე შეკრებამ განიხილა ლაგოდეხის რაიონის სოფლის ძეურნეობის მოწინავეთა მიმართვა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. გ. კორახაშვილი, მეორე საკითხზე კი—საკ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ქართველიშვილი. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდა 11 კაცი. შეკრებამ 1943 წელს მაღალი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისთვის სოციშეჯიბრებაში გამოიწვია მეხუთე ბრიგადა. გუთნის მეხრე ზ. მირაზანაშვილმა იკისრა ხვნის დღიური ნორმა შეასრულოს 150 პროცენტით — დღეში ნაცვლად 0,4 ჰექტარისა მოხნას 0,6 ჰექტარი.

მთლიანად კოლმეურნეობამ ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად აიღო ვალდებულება. საგაზაფხულო თესვა დაამთავროს ვადაზე 5 დღით ადრე, წითელარმიელთა ფონდისათვის დასთესოს ნარცელეული 10 ჰექტარზე, თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს ხორბალი 10,5 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9,5 ცენტნერისა, შაქრის ჭარხალი — 300 ცენტნერი, ნაცვლად 250 ცენტნერისა, ბოსტნეული კულტურები დასთესოს 80 ჰექტარზე, ნაცვლად 75 ჰექტარისა, საუკეთესო მოვლით კომბოსტო მოიყვანოს ჰექტარზე საშუალოდ 250 ცენტნერი, პომიდორი 130 ცენტნერი, ხილი თითოეულ ჰექტარზე ნაცვლად 50 ცენტნერისა მიიღოს 60 ცენტნერი, გააშენოს 10 ჰექტარი ვენახი, მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა შეასრულოს ვადაზე ადრე, პირუტყვისათვის დაამზადოს 200 ტონა სილოსი.

სოფ. კარალეთის კოლმეურნეობამ სოციშეჯიბრებაში გამოიწვია რაიონის ყველა კოლმეურნეობა და მოწოდებით მიმართა მათ.

შ. ჩუბინიძე

აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). 11 მარტს მცხეთაში ჩატარდა რაიონის კოლმეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შეკრება, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ. ამავე შეკრებამ განიხილა ლაგოდეხის რაიონის სოფლის ძეურნეობის მოწინავეთა მიმართვა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა **მტს-ის** პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. **გ. კორახაშვილი**, მეორე საკითხზე კი—**საკ. კ. პ. (ბ)** მცხეთის **რაიკომის** მდივანი ამხ. **მ.** ქართველიშვილი. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდა 11 კაცი. შეკრებამ 1943 წელს მაღალი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისთვის სოციშეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის რაიონი. თავის მხრივ მცხეთის რაიონმა იკისრა: თავთავიანი კულტურების მოსავალი 8.700 ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 13 ცენტნერი, სიმინდი სულ მცირე—20 ცენტნერი, დარგოს 50.000 ძირი ვაზი და 8.000 ძირი ხეხილი კოლმეურნეობებში, ხოლო საკარმიდამო ფართობებზე —9.000 ძირი ხეხილი, სანამუშოდ მოუაროს ბოსტნეულ მცენარეებს, აბრეშუმის პარკის მოსავალი თითოეულ კოლოფზე გაზაფხულის გამოკვებიდან მიიღოს 44 კილოგრამი, მეორე გამოკვებიდან კი—40 კილოგრამი, გადამეტებით შესასრულოს მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა, მოამზადოს მექანიზატორთა კადრები—47 კაცი, აქედან 38 ტრაქტორისტი, თავთავიანი მარცვლეული კულტურები გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდში დასთესოს 100 ჰექტარზე, ვადაზე ადრე შეასრულოს სახელმწიფო დამზადებათა გეგმები და სხვ.

აკ. ძირია

დოლი წარმატებით მიმდინარეობს

სიღნაღი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სიღნაღის რაიონის საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა დოლის წარმატებით ჩასატარებლად. 11 მარტისათვის 69.889 დასადოლებელი ცხვრიდან უკვე დადოლებული იყო 36.100 სული ცხვარი და მიღებულია 36.305 ბატკანი. დოლი კარგად მიმდინარეობს სოფ. ბოდბისხევის „კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.500 დადოლებულ ცხვარზე მიღებული 1.515 ბატკანი, ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.500 დადოლებულ ცხვარზე 1.510 ბატკანი მიიღეს, სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.590 დადოლებულ ცხვარზე მიიღეს 1.600 ბატკანი, სოფ. ულიანოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში — 210 დადოლებულ ცხვარზე მიღებულია 215 ბატკანი, სოფ. ვაქირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — 200 დადოლებულ ცხვარზე მიიღეს 204 ბატკანი და სხვ.

ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდების საფუძველზე სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში ახალი ძალით გაიშალა სოციშეჯიბრება დოლის წარმატებით ჩატარებისათვის.

ი. სიმონიშვილი

დიდი საწარმოო აღმავლობა

გურჯაანი (ტელეფონით). გურჯაანის მტს-ში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინერებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ, რომელიც მტს-ის მუშაკთა საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს, განხილულ იქნა საწარმოო თათბირზე, რომელსაც 135 კაცი დაესწრო. ამჟამად აღნიშნული დადგენილება გაცნობილი აქვს მტს-ის ყველა მუშაკს.

ახალ დადგენილებასთან დაკავშირებით მტს-მა იკისრა ისე წარმართოს მთელი მუშაობა, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 ჰექტარისა, მოხნას და დასთესოს 3.500 ჰექტარი, და ამ მიზნით სოციშეჯიბრებაში გამოიწვია თელავისა და კაჯრეთის მტს-ება.

სოციშეჯიბრების საფუძველზე მტს-მა წელს ვადაზე 17 დღით ადრე შეასრულა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთების გეგმა. ამჟამად მტს-ის ყველა ტრაქტორი მინდორშია და მათ უკვე მოხნეს 500 ჰექტარი. № 3 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გ. მინდორაშვილი ხელმძღვანელობს, ბაკურციხის საკოლმეურნეო მინდვრებზე მოხნა 100-მდე ჰექტარი, № 4 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი პ. სეფიაშვილი) — 90-მდე ჰექტარი.

მტს-ი დიდ ყურადღებას აქცევს ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლას და სრული დატვირთვით გამოყენებას, აგრეთვე კადრების მომზადებას და სხვ. ნაცვლად გათვალისწინებული 40 ტრაქტორისტისა, წელს მომზადებულ იქნა 46 ტრაქტორისტი. გარდა ამისა, აქ მზადდება 12 კომბაინერი ნაცვლად ათისა, რვა მეშეტურვალე ნაცვლად ექვსისა და სხვ. თავის დროზე მიღებული ზომების შედეგად მტს-ი მთლიანად უზრუნველყოფილია როგორც კადრებით, ისე ტრაქტორებისათვის საწვავ-საცხები მასალებით, სათადარიგო ნაწილებით და სხვ. ტრაქტორები შეუფერხებლად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება

გათუმი. შესდგა ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელსაც დაესწრნენ სოფლსაბჭოთა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების დირექტორები, ბრიგადირები, სტახანოველები და აგროსპეციალისტები.

მოხსენება 1942 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და 1943 წელს სოციშეჯიბრების გაჩაღების შესახებ სამხედრო მოსავლის მისაღებად გააკეთა ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ყურშბაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთწლიანი კულტურების სათესი ფართობი 1942 წელს, 1941 წელთან შედარებით, გადიდებულ იქნა 200 ჰექტარით. რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 115.000 კილოგრამით მეტი ჩაი, ვიდრე 1941 წელს.

წელს მნიშვნელოვნად დიდდება ერთწლიანი კულტურების სათესი ფართობი.

რაიონში ბევრია ორასოვანი და სამასოვანი სტახანოველი. სტახანოველმა ქალმა მხეიძემ შარშან 478 შრომადღე გამოიმუშავა, ორასოვანმა ქალმა ზარხოშოღლიმ—742 შრომადღე, ჰაჯიოღლიმ—622 შრომადღე.

შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვეს ახალშენის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. თურმანიძემ, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. იორდანიდმა, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვარშანიძემ და სხვ.

შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვა პარტიის ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. სანიკიძემ.

შეკრების მონაწილეები, რომელთაც განიხილეს ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა, სოციშეჯიბრებაში ჩაებნენ და თავის მხრივ გამოიწვიეს ლენინხევის რაიონი. (საქდესი).

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

მეელმავლეთა ახალი ვალდებულებანი

ლ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის საელმავლო დეპოს მუშაკთა კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნის მუშაკთა კოლექტივის მოწოდებას და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივის წერილს 1 მაისის აღსანიშნავად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

საელმავლო დეპოს მუშაკთა კოლექტივმა, რომელმაც 1942 წელს და მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მოიპოვა პირველი ადგილი და გზის გარდამავალი წითელი დროშა, სტალინელთა მოწოდების პასუხად ახალი ძალით გააჩაღა მუშაობა.

დეპოს აწევითი შეკეთების საამქრომ აიღო ვალდებულება მარტისა და აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულოს 250 პროცენტით; სპეცსამქრომ იკისრა ვალდებულება ყველა მაჩვენებლებით საწარმოო გეგმა შეასრულოს 300 პროცენტით და სოციშეჯიბრებაში გამოიწვია დეპოს აწევითი საამქრო; ელმანქანათა საამქრომ სოციშეჯიბრებაში გამოიწვია სპეცსამქრო.

ორასოვანი სტახანოველები ნ. გოჩიაშვილი, ა. ივაკინი, ვ. ზიქაშავიძე, გ. ჩიტაშვილი, პ. კინტაკუზინი და ო. მოსიმოვდლიშვილი ჩაებნენ წინასამაისო სოციშეჯიბრებაში და იკისრეს 200-250 პროცენტით შეასრულონ საწარმოო გეგმები.

ლენინური ელმავლის უფროსმა მემანქანემ ამხ. ა. ტაბიძემ აიღო ვალდებულება აწევითი რემონტის შემდეგ ელმავლით გაირბინოს 350.000 კილომეტრი და მაღალი ტექნიკური სიჩქარით ატაროს ფრონტისათვის დანიშნული მატარებლები.

ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე საელმავლო დეპოს დანარჩენმა სტახანოველებმა და ლენინელმა მემანქანეებმა.

ვ. ფაღლიშვილი

იბრძვიან პირველობისათვის

თბილისის ხორცკომბინატმა იანვრის მაჩვენებლებით ჭრელიან-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხორცის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის მეორე ადგილი დაიკავა და მიიღო მეორე პრემია.

თებერვალში კომბინატმა კიდევ უფრო გაუმჯობესა მუშაობა, თვიური გეგმა შეასრულა 106,2 პროცენტით. თებერვალში უკეთესად იმუშავა სანის სახარშმა საამქრომ (უფროსი ამხ. ვოსკანოვი), რომელმაც გეგმა 146 პროცენტით შეასრულა.

კარგი მუშაობით თებერვალში თავი გამოიჩინა ამხ. რაზმაძის ბრიგადამ (სასაკლაო საამქრო)—ბიჩიანცის, ბარსეგოვის და კაჭკაშვილის შემადგენლობით, რომელმაც თვიური დავალება 162,1 პროცენტით შეასრულა. ასეთივე წარმატება მოიპოვეს სტახანოველებმა და კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 115.000 კილოგრამით მეტი ჩაი, ვიდრე 1941 წელს.

ლეპეზეგი

სტეგინიუსი სსრ კავშირისათვის მასალების მიწოდების შესახებ

ვაშინგტონი, 9 მარტი (საკდესი). პრესაში გამოქვეყნებულია განცხადება, რომელიც 7 მარტს გააკეთა სუპერვიზორის სესხად ან ოქროთი გადაცემის კანონის განხორციელების რწმუნებულმა სტეტინიუსმა, რომელმაც გამოაცხადა, რომ, გარდა რამდენიმე ათასი თვითმფრინავის, ტანკისა და ქვემეხისა, რომელთა შესახებაც წინათ ვიუწყებდით, შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირში გაგზავნეს ნედლეულის დიდი პარტიები სამხედრო მრეწველობისათვის, აგრეთვე მოწყობილობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სხვადასხვა სახისათვის, რაც განკუთვნილია საბჭოთა კავშირის ფრონტზე გამოსაყენებლად. 1 თებერვლამდე სსრ კავშირში გაგზავნილი იყო: 580.000 ტონა ფოლადი, 46.000 ტონა ალუმინი და დიურალუმინი, 21.500 ტონა თუთია, 94.000 ტონა სპილენძი, თითბერი, ნიკელი და მოლიბდენი, 50.000 ტონა ტოლუოლი და ტრინიტროტოლუოლი, 75.000 ტონა სხვა ქიმიკალიები სამხედრო ჭურვნებისათვის, 75.000 ტონა ფოლადის რელსები და 17.000 ტონა სხვა სარკინიგზო მოწყობილობა, აგრეთვე 268.000 ტონა ნავთბროდუქტები. სსრ კავშირში გაგზავნილია ასობით საველე ტელეფონის აპარატი, ასი ათასობით მილი სატელეფონო მავთული, სხვადასხვა სახის მოტოციკლეტებული ტრანსპორტის 99.000 ერთეული, ტანკების ჩაუთვლელად, მათს რიცხვში 72.500 სატვირთო მანქანა, 17.500 ავტომობილი გადიდებული გამავლობისა, 7.700 მოტოციკლი, 1.300 სამხედრო ტრაქტორი, აგრეთვე თითქმის 3.000.000 წყვილი საარმიო წაღა და 18.000 ტონა სალაზარეთო ტყავი.

სტიმსონი ამერიკის არმიის გადიდების პროგრამის შესახებ

ნიუ-იორკი, 11 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი სტიმსონი რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში იმ აზრს იცავდა, რომ საჭიროა განხორციელებულ იქნას მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის შეერთებულ შტატებში 8.200.000 კაცისაგან შემდგარი არმიის შექმნას. სტიმსონმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საომარ ღონისძიებათა გაშლას ხელს უშლიან გავრცელებული ილუზიები იმის შესახებ, თითქოს ომის მოგება შეიძლებოდეს „რაღაც იოლი საშუალებით, ისე რომ დიდი მსხვერპლი არ გაიღო და დიდი უსიამოვნება არ განიცადო“. ეს საშიში პოზიცია, განაგრძობდა სტიმსონი, „თავს იჩენს, როცა ჩვენ ვამბობთ: რუსებმა ისე ბევრი გერმანელი მოსპეს, რომ გერმანია მომავალში უკვე ვერ შესძლებს ახალი შეტევები დაიწყოს; ან როცა ვამბობთ, რომ გერმანია სულს ღაფავს; ან როცა ვამბობთ, რომ ომის მოგების საუკეთესო საშუალებაა მივცეთ ჩვენს ნოკავშირეებს საკმაო იარაღი, რათა მათ შესძლონ ჩვენს მაგივრად ომი“.

ინდოეთის განცხადება ომისშემდგომ ეკონომიურ პრობლემებზე მომავალი მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 11 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ინდოეთმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისი ემზადება ომისშემდგომი პერიოდის ფინანსიურ და ეკონომიურ პრობლემებზე სხვა გაერთიანებულ ერებთან მოსალაპარაკებლად. ინდოეთმა სთქვა, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღებული შეერთებული შტატების ოფიციალური წინადადება ომისშემდგომი ეკონომიური პოლიტიკის განხილვის შესახებ. ინგლისის მთავრობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების თათბირი ეკონომიურ საკითხებზე.

უოლესის გამოსვლა ამერიკელ იზოლაციონისტთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 11 მარტი (საკდესი). ფერმერების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიტინგზე კოლუმბუსში (ოჰაიოს შტატი) გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა განაცხადა, რომ ამჟამად, გაჩაღებული ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში არავინ არ ემხრობა აშკარად იზოლაციონისტურ პოზიციებს; მიუხედავად ამისა, „ჩვენს ქვეყანაში არის იზოლაციონიზმის მრავალი ახალი ფორული და ამიტომ საშიში ფორმა, რომლებსაც, თუ ისინი გავრცელდა, შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს უშუალოდ მესამე მსოფლიო ომი“. უოლესის სიტყვით იზოლაციონიზმის ერთ-ერთ ახალ ფორმას წარმოადგენს თეორია, რომელიც ღაღადებს, რომ ომი გარდუვალია ყოველ ახალ თაობაში, და ამიტომ ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება დამოკიდებულია იმაზე, ეყოლება თუ არა მას შეიარაღებული ძალები, რომლებიც უდიდესი იქნება მსოფლიოში. „ამერიკელთა უმრავლესობის აზრით,—სთქვა უოლესმა,—იმის ნაცვლად, რომ ამ გზით ვეცადოთ შეექმნათ შეიარაღებული ბანაკი და გარდუვალ ომის მოლოდინში ვიყოთ, გაცილებით უფრო გონივრული იქნება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი გავლენა გამოიყენონ და მხარი დაუჭირონ მთელ მსოფლიოში ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება ასეთი ომის თავიდან აცილებისაკენ“.

იზოლაციონიზმის მეორე ფორმა, უოლესის სიტყვით მდგომარეობს ზოგიერთი პირის მტკიცებაში, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ცდები—აამაღლონ ომის შემდეგ სხვა ქვეყნების ცხოვრების დონე—ამერიკელთა ცხოვრების დონეს დასცემსო, ნამდვილად კი, სთქვა უოლესმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და სხვა ერების აყვავების უზრუნველყოფა ამავე დროს ხელს შეიწყობს ამერიკის აყვავებასაც.

იზოლაციონიზმის ნესამე ფორმის მომხრენი, განაგრძო უოლესმა, ბრალად სდებენ ამერიკის მთავრობას, რომ იგი ემზადება, რათა თავისი კონტროლი დააწესოს განათლებაზე მთელს მსოფლიოში. ეს, განაცხადა უოლესმა, უაზრობაა. მაგრამ გონიერმა ადამიანებმა იციან, რომ გაერთიანებულმა ერებმა ასე თუ ისე ხელი უნდა შეუშალონ გერმანიას იმაში, რომ მომავალში არ გაავრცელოს ნაცისტური ფილოსოფია, როგორც მზადება მსოფლიოს დასაპყრობად მიმართული ახალი ომისათვის.

მეოთხე სახის იზოლაციონიზმი, განაცხადა უოლესმა, მდგომარეობს იმისადმი მისწრაფებაში, რომ შემოღებულ იქნას დიდი საბაჟო გადასახადები და განხორციელებულ იქნას შეზღუდვის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, ასეთ პოლიტიკას შედეგად მოსდევს ეკონომიური ომი და, მაშასადამე, აგრეთვე ომი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

უოლესის სიტყვით, მეხუთე სახის იზოლაციონიზმს ჰქადაგებენ „ჰაერში იმპერიალიზმის“ მომხრენი, რომელნიც მოითხოვენ, რომ ამერიკის თვითმფრინავებს უფლება ჰქონდეთ იფრინონ მთელ მსოფლიოში, და უარს ეუბნებიან უცხოეთის თვითმფრინავებს იმის უფლებაზე, რომ იფრინონ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. „ეს გასაოცარი იდეა,—სთქვა უოლესმა,—როგორც სჩანს, ვეფიდროდ არის დაკავშირებული მცდარ წარმოდგენასთან, თითქოს ჩვენ შეგვეძლოს ვყიდოთ ჩვენი საქონელი მთელს მსოფლიოში და ამავე დროს აეუკრძალოთ უცხოელებს ჰყიდონ თავიანთი საქონელი ამერიკის შეერთებულ შტატებში“. უოლესმა განაცხადა, რომ „ჰაერში იმპერიალიზმის“ პროგრამას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს მხოლოდ კონფლიქტი, რომელიც ახალი მსოფლიო ომით დამთავრდება, ან ამერიკის ბატონობის დამყარება, რაც ამერიკელებს იმაზე უფრო საძულველად გახდიდა, ვიდრე გერმანელები არიან ახლა. ამერიკელებს სურთ, სთქვა უოლესმა, მშვიდობიანობა და არა ომი, მათ სურთ გონივრული საერთაშორისო თანანშრომლობა და არა იზოლაციონიზმი და იმპერიალიზმი.

ინგლისი ამერიკელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლა საფრანგეთში

ლონდონი, 10 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გერმანიის საწარმოებში შრომის ბეგარის მოსახდელად ახალგაზრდობის მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ საფრანგეთში გაძლიერდა პარტიზანული ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ. ბრესტში ფრანგ პატრიოტთა ჯგუფი თავს დაესხა კინემატოგრაფს, რომელიც დანიშნულია გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. თავდამსხმელებმა დარბაზში მყოფ გერმანელებს რამდენიმე ხელის გრანატი ესროლეს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. იმავე დღეს ფრანგ პატრიოტთა სხვა ჯგუფი თავს დაესხა ქალაქის მთავარი ფოსტამტის გერმანელთა დაცვას და მოჰკლა ორი გერმანელი ჯარისკაცი. გერმანელებზე თავდასხმამ ბრესტში ქუჩის აშკარა შეტაკების ხასიათი მიიღო.

გაზეთი „მარსელიეზი“ იუწყება, რომ ქალაქ ტულში ნანსის მახლობლად გრანატი ესროლეს გერმანელ ჯარისკაცთა რაზმს. მოკლული და დაჭრილია ბევრი ჯარისკაცი.

მებრძოლი საფრანგეთის შტაბი გადმოგცემს, რომ ამ დღეებში ფრანგმა პატრიოტებმა ხელის გრანატები შეაგდეს ლილის კინოს სხდომაში, სადაც ხშირად არიან ხოლმე გერმანელი სამხედრო პირნი. მოკლულია 23 გერმანელი ოფიცერი.

პარტიზანული ბრძოლის გაძლიერება საფრანგეთში

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). გენერალმა დე გოლმა მიიღო სპეციალური კომუნიკე საფრანგეთის პარტიზანული მოძრაობის მთავარი შტაბისა, რომელიც იუწყება, რომ შალონ-სიურ-სონის რაიონში (სონისა და ლუარის დეპარტამენტი) მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რკინიგზის დიდ სადგურ შანინის ახლოს აიფეთქა და ლინდაგიდან გადაგდო მატარებელი გერმანელთა ჯარებიანად, რომელნიც აღმოსავლეთისაკენ იგზავნებოდნენ. ნარცხის შედეგად მოკლულია 250 და დაჭრილია რამდენიმე ასი ჰიტლერელი. გარდა ამისა, ფრანგმა პარტიზანებმა ლინდაგიდან გადააგდეს გერმანელთა კიდევ ორი სამხედრო მატარებელი მომიჯნავე დეპარტამენტ კოტ-დ'ორში. ერთი მატარებელი, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო საჭურვლით, სავსებით მოსპობილ იქნა. მეორე ეშელონში, რომელიც იტალიისათვის განკუთვნილი ქვანახშირით იყო დატვირთული, დაიმსხვრა 22 ვაგონი. ეს ოპერაციები რომ შეასრულეს, ფრანგი პარტიზანები მიიმალნენ; თვითონ არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, 1942 წლის 20 დეკემბრიდან 1943 წლის 20 იანვრამდე საფრანგეთში განხორციელებულ იქნა 300-ზე მეტი ცალკეული პარტიზანული ოპერაცია.

უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახული აქვთ მომამზადონ ავიაციისათვის 10.000 მეტეოროლოგი. მათი სწავლებისათვის გამოყენებული იქნება 27 უმაღლესი სასწავლებელი.

* * *

ჰიტლერელებმა ნანტის მახლობლად (საფრანგეთი) დახვრიტეს ქალთა და ბავშვთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც თავი მოიყარეს ვაგზალზე, რათა ხელი შეეშალათ გერმანიაში ფრანგი მუშების ეშელონის იძულებითი გაგზავნისათვის.

* * *

სამხრეთ ნორვეგიაში ავარია განიცადა შვეციის 4 თვითმფრინავმა. ერთი მათგანი დაიწვა, დანარჩენები დაზიანდნენ.

* * *

ინგლისში შეიქმნა ახალი ტიპის საბადრაგო გემი, რომელიც სპეციალურად გათვალისწინებულია ჭარავანთა გასაცილებლად ატლანტის ოკეანეში. გარდა მძლავრი არტილერიისა და სხვადასხვა ყალიბის საზენიტო ქვემეხებისა, ახალ გემს აქვს სატორპედო აპარატი წყალქვეშა ნავებთან და წყალზედა რეიდერებთან საბრძოლველად.

* * *

ალეირში ჩავიდა მებრძოლი საფრანგეთის პარაშუტისტთა რაზმი.

* * *

„ტოტალური მობილიზაციის“ შესახებ ახალი კანონის ძალით, ქალებისა და კაცების მნიშვნელოვან რიცხვს მიესაჯა ხანგრძლივი სატატორო მუშაობა „ზარმაცობისა და მუშაობის სურვილის უქონლობისათვის“.

ნორვეგიის ნავსადგურ ტრონჰეიმში მდგარ გერმანელთა ტრანსპორტს ბომბი ესროლეს, რამაც გემი დიდად დაზიანა.

* * *

ინგლისის მთავრობის მიწვევით, ეგვიპტეში გაემგზავრა თურქეთის სამხედრო მისია, რომელიც გაეცნობა ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილ მდგომარეობას. მისიის შემადგენლობაში შედის სამი გენერალი.

* * *

უნგრეთში 470.000 კაცია ტუბერკულოზით დაავადებული. სასურსათო მდგომარეობის განუწყვეტელ გაუარესების, საავადმყოფოთა უქონლობის და სამედიცინო მომსახურების ცუდად დაყენების გამო ტუბერკულოზის გავრცელება საშიშ ხასიათს იღებს.

* * *

სამი დღის კამათის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 407 ხმის უმრავლესობით 6 ხმის წინააღმდეგ მიიღო ანონპროექტი იმის შესახებ, რომ საჟურვლის სესხად ან ოქროთი გადაცემის კანონის მოქმედების ვადა განგრძობილ იქნას ერთი წლით.

* * *

იმის გამო, რომ გერმანიამ უარი სთქვა მიეცა გემების გატარების უშიშროების გარანტია, შვეციის 6 სატვირთო გემმა გააუქმა თავიანთი რეისები შვეციიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

* * *

იტალიის ჯარისკაცებთან უკანასკნელ შეტაკებათა დროს იუგოსლავიელმა პარტიზანებმა დაზოცეს 1.580 იტალიელი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 1.000 კაცი. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეორე სამეცნიერო სესია

12 მარტს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეორე სამეცნიერო სესია.

სესიაზე წარმოდგენილია 9 მოხსენება მეცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის ზრდის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხზე. სესიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს შეჯამოს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ ამ უკანასკნელ წლებში ჩატარებული მუშაობა ამ ხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებასთან დაკავშირებით, რომ საქართველო უზრუნველეყოთ თავისი საკუთარი პურით.

სესიას ესწრებიან აკადემიკოსები, მეცნიერი მუშაკნი და პრაქტიკული მომუშავენი. სხდომას ესწრება საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. გ. ხოშტარია, საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამმართველოების ხელმძღვანელები და მომუშავენი, სამხრეთ-ოსეთის უფროსი აგრონომი თიბილოვი, სამხრეთ-ოსეთის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბაბაევი, სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის, ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები, თბილისის რაიონის კოლმეურნეები და სხვ.

სესია გაიხსნა აკადემიკოს ნ. კეცხოველის მოხსენებით — „მემინდვრეობის ძირითადი ამოცანები“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მინდვრის კულტურათა მოსავლიანობის ზრდის საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა უახლოეს ძირითად ამოცანას წარმოადგენს დიფერენცირებული აგროტექნიკის დამუშავება ცალკეული რაიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობათა სხვაობის მიხედვით. ამასთანავე ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ კოლმეურნეობათა ქიმლაბორატორიებმა.

დოც. ქ. კელენჯერიძე თავის მოხსენებაში შეეხო ხორბლის კულტურის ძირითადი რაიონების კლიმატის დახასიათებას საქართველოში და ამის მიხედვით ჯიშების დარაიონების საკითხს. მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ადგილობრივი ჯიშების უპირატესობის საკითხს. ასეთებია აღმოსავლეთ საქართველოსათვის: დოლის პურის სხვადასხვა ფორმები, თავთუხა, შავფხა, წითელი და თეთრი დიკა და სხვ. დასავლეთ საქართველოსთვის — ულტგორ რაფაელა, იფალი და სხვ.

პროფ. ი. ლომოურიძე თავის მოხსენებაში „ადგილობრივ სამეცნიერო-დაბაზებული ხორბლის ადგილობრივი ჯიშების შემდგომი გაუმ